საგაზეთო ჩანართი

# ინტელექტი

თვითმმართველობა და განვითარება

№13 / 2011

# ტრენინგი ერთობლივი სამუშაო ჯგუფების წევრებისათვის ბაკურიანში

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ 2011 წლის 13-15 აპრილს აჭარის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს დაბა ბაკურიანში მასპინძლობდა ტრენინგზე, რომელიც პროექტის – „ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობის გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის აჭარის რეგიონში“ – ფარგლებში გაიმართა.

ტრენინგი სპეციალურად სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის შედგა და მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების ძირითადი ასპექტების შესახებ სამუშაო პროცესის ოპტიმიზებისათვის საჭირო ინფორმაციის შედარებით ლაკონურად მიწოდებასა და ინტერაქციის პროცესში პრაქტიკული ხასიათის გამოცდილების შეძენას შემდგომში მათი მაღალი ეფექტიანობით გამოყენებისათვის.

ტრენინგს, აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის 18 წარმომადგენელისათვის, კავშირ ,,ინტელექტის“ ექსპერტების: ზაზა გორგაძის, ბელა ჭურჭელაურის და ნონა ხუჯაძის გარდა კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტიდან მოწვეული ტრენერი, ექსპერტ-ანალიტიკოსი მიხეილ ძაგანიაც მართავდა.

ტრენინგზე „მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების ძირითადი ასპექტები“ მსმენელთათვის გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების გაცნობა:

სტრატეგიული გეგმების შედგენის ძირითადი პრინციპები;

მუნიციპალიტეტების საინვესტიციო პასპორტების შედგენის პრინციპები;

SWOT - ანალიზი სტრატეგიული დაგეგმვისათვის;

მუნიციპალური სერვისების სახეობების განსაზღვრის, სტანდარტების შემუშავებისა და რეალიზაციის პრინციპები;

ტერიტორიების მარკეტინგი;

სოციოლოგია, კვლევის მეთოდები და ანალიზი.

ტრენინგის ჩატარება-ორგანიზებით კმაყოფილები არიან როგორც ტრენინგის მონაწილეები, ისე ტრენერები.

**რევაზ კარალიძე, ქობულეთის საკრებულოს აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:** ,,ადამიანი ყოველდღიურად უნდა იღებდეს სიახლეებს ცხოვრებისგან და ცდილობდეს, რაღაც ახალი ისწავლოს, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ეს ტრენინგი. პირადად ჩემთვის კარგი იყო იმიტომ, რომ გავიცანით ერთმანეთი, შევიძინეთ ცოდნა მუნიციპალიტეტების განვითარების კუთხით. მადლობა ყველას ტრენინგის ორგანიზებისთვის. შევეცდებით, რომ აქ მიღებული ცოდნა გამოვიყენოთ პრაქტიკულ საქმიანობაში, რის შედეგსაც იმედია საზოგადოებაც ნახავს“.

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების უფროსის – ენვერ ასამბაძის** აზრით ტრენინგზე განხილული საკითხები ამომწურავი იყო: ,,მადლობა „ინტელექტს“ საინტერესო ტრენინგის ორგანიზებისათვის, ტრენინგის გეგმაში კი ცოტაოდენ ცვლილებებს შევიტანდი. ჩემთვის საინტერესო იქნებოდა პროგრამული ბიუჯეტის შესახებ საკითხების დამატება, რადგან ვფიქრობ, რომ ეს საკითხი მუნიციპალიტეტებს წაადგება სტრატეგიული გეგმის შედგენისას. მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგის მსვლელობისას თამაშები იყო, ვფიქრობ ასევე კარგი იქნებოდა უფრო მეტი ინტერაქტივი, რადგან თეორიული საკითხის ადგილზევე პრაქტიკაში გამოყენებით კარგად ხდება საკითხის ათვისება“.

**შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურისტი ჯიმშერ აბაშიძე** ამბობს, რომ ტრენინგმა მისი იმედი გაამართლა: „ჩემი მოლოდინი იყო, რომ მივიღებდით ამომწურავ და შინაარსიან ინფორმაციას ტრენინგით გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ და მოლოდინი გამართლდა. ტრენინგზე წარმოდგენილი ყველა საკითხი ჩემთვის თანაბარად მნიშვნელოვანი იყო, პროფესიით იურისტი ვარ და ეკონომიკური საკითხების გაცნობა სიახლეს წარმოადგენდა, თეორიულ საკითხებთან ერთად თამაშებით პრაქტიკული გამოცდილებაც მივიღე. უკვე წარმოდგენა მაქვს, როგორ იქმნება სტრატეგიული გეგმები, აგრეთვე შევიძინე მეგობრები, რაც სამომავლოდ გააღრმავებს ურთიერთობებს და ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარებას“.



**ტრენინგით კმაყოფილია ქედის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი ჯემალ ტაკიძეც:** „ტრენინგი იმდენად სწორად იყო დაგეგმილი, რომ ყოველი დღე ნაყოფიერი იყო. საკმაოდ ამომწურავი და სასარგებლო ინფორმაცია მივიღეთ სტრატეგიული გეგმის შემუშავებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული გამოცდილება უკვე მქონდა, ტრენინგი ეფექტიანობის ამაღლების, მოსახლეობაზე მეტი ორიენტირებულობის შესაძლებლობას მომცემს და განხორციელებულ პროექტებში იქნება თანხვედრა მოსახლეობას, კერძო სექტორსა და თვითმმართველობას შორის“.

**ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ირაკლი ჯორბენაძე** მიიჩნევს, რომ ტრენინგზე წარმოდგენილი საკითხები სწორად იყო შერჩეული და მას კომპეტენტური ტრენერები წარადგენდნენ: „პირადად ჩემთვის ტრენინგმა მოლოდინს გადააჭარბა, ბევრი ცოდნა მივიღე ისეთ საკითხებზე, რომლებზეც აქამდე წარმოდგენა არ მქონდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი რაც ამ ტრენინგმა მომცა, ახალი ურთიერთობებია“.

თვითმმართველობების წარმომადგენლების მსგავსად ტრენინგით კმაყოფილნი არიან ტრენერებიც. „სამდღიანი შეხვედრა მსმენელთან საკმაოდ ნაყოფიერი იყო. მინდა აღვნიშნო, რომ მათი ჩართულობა თვითმმართველობის სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავებაში საკმაოდ მაღალია, თუმცა ის ინტერაქცია, რომელიც გვქონდა ამ სამი დღის განმავლობაში, ნამდვილად საჭირო და სასარგებლო იყო ამ ადამიანებისათვის. თანამედროვე მიდგომა და მეთოდოლოგია თუ როგორ შეიძლება გავაკეთოთ პოლიტიკის ანალიზი და მივიღოთ რაციონალური გადაწყვეტილება, ამ კუთხით ის სავარჯიშოები და თეორიული მასალა, რაც ტრენინგის განმავლობაში მიეწოდათ, მათთვის სასარგებლო იქნება.

მივესალმები ნებისმიერ მსგავს ინიციატივას, როგორიც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ აქვს. იმედია „ინტელექტი“ განაგრძობს მუშაობას ამ კუთხით, რამდენადაც თვითმმართველობა სახელმწიფოს განვითარების დემოკრატიული საფუძველია და მისი რეალური ჩამოყალიბება თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი ვალი“. – **აღნიშნა მიხეილ ძაგანიამ.**

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

# მეწარმეების თვალით დანახული პრობლემები

ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემოსა და მისი განვითარების შესახებ რეკომენდაციებს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციები ამზადებენ. პოლიტიკოსებს აქვთ საკუთარი ხედვა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ბიზნესი საქართველოში. თუმცა, საინტერესოა, რას ფიქრობენ თავად კერძო სექტორის წარმომადგენლები და რა მიმართულებით ითხოვენ ისინი მხარდაჭერას.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი» ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობის გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის აჭარის რეგიონში“. ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში ორგანიზაციამ 2011 წლის დასაწყისში ჩაატარა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარის მუნიციპალიტეტებში მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების გამოვლენას. გამოიკითხა 50-ზე მეტი მეწარმე, კვლევის დიზაინი იმგვარად შეიქმნა, რომ მასში მონაწილე ბიზნესმენები მრავალფეროვანი სპექტრით იყვნენ წარმოდგენილნი. კვლევამ აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტში მოქმედი ბიზნესების ძირითადი ტიპები მოიცვა და რამდენიმე საინტერესო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობაც მოგვცა.

### ზოგადი ტენდენცია – სიფრთხილე

კვლევაში ჩართული ყველა მუნიციპალიტეტისათვის საერთო აღმოჩნდა აზრის თავისუფალი გამოხატვის სიფრთხილისკენ მიმართული ტენდენცია. იდენტიფიცირებულ რესპონდენტებს იმ შემთხვევაშიც კი აღმოაჩნდათ თავისუფალი აზრის შეზღუდვისა და შენიღბვის მცდელობა, როცა გვთანხმდებოდნენ კვლევაში მონაწილეობაზე. თავს ძირითადად კრიტიკული აზრის დაფიქსირებისაგან იკავებდნენ. გამოიკვეთა მცდელობა პრობლემური გარემოებების მისტიფიცირებისაკენ.

ბიზნესმენებმა თავშეკავებული დამოკიდებულება იქონიეს ზოგადად გარემოებების ანალიზის გაკეთების დროსაც. მათი შემფასებლური აზრი განსაკუთრებული თავშეკავებულობით გამოირჩეოდა სახელმწიფო ინსტიტუტების მისამართით, რაც, ვფიქრობ, ქცევითი ხაზგასმაა საქმიან სფეროში არსებული არაჯანსაღი პოლიტიკური გავლენისა.

მათთან მუშაობისას კითხვარის სტრუქტურის მიხედვით გამოჩნდა რამდენიმე ტენდენცია – გარკვეული ტიპის კითხვებზე პასუხისაგან თავშეკავების, აცდენილი პასუხისგების მცდელობისა და რეალური ფაქტებისათვის არააქტუალობის სარჩულის მორგებისა. ამასთან, საკმაოდ ხშირი იყო პოზიტივების უტრირების შემთხვევაც.

მთლიანობაში რესპონდენტების იდენტიფიცირება გართულდა რამდენიმე მიზეზით: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბიზნესმენები რეალურად არ მოღვაწეობენ რეგისტრირებულ მისამართზე, ან სულაც მუნიციპალიტეტის გარეთ ახორციელებენ თავიანთ აქტივობას. რეგისტრაციისას მითითებული საკონტაქტო ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა რეალობას. გარდა ამისა, არსებობდა ცალკეული შემთხვევა, როდესაც მუნიციპალიტეტში ეწეოდა საქმიანობას მის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული ბიზნესორგანიზაცია.

ანკეტის მიხედვით რესპონდენტებს საკუთარი საქმიანობის გარეთ უნდა შეეფასებინათ რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო რათა ერთგვარი SWOT-ანალიზი გაეკეთებინათ, ბუნებრივია შემცირებული და რამდენადმე შეზღუდული ფორმით.

აღმოჩნდა, რომ ბიზნესმენთა მნიშვნელოვანი რაოდენობა არ ფლობს ბიზნესგარემოს შესახებ კომპეტენტურად განზოგადებულ ინფორმაციას და მეტწილად სხვადასხვა წყაროს მექანიკური მომხმარებელია.

ანკეტების საშუალებით რესპონდენტთა თვალით ბიზნესგარემოს სკანირებისას თანამედროვე ბიზნესსაქმიანობაში გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო მახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ იდენტიფიცირებულთაგან მხოლოდ მცირე ნაწილთან მოხერხდა კვლევითი შინაარსის ურთიერთობის დამყარება, დადებული შედეგები საინტერესო აღმოჩნდა და გარკვეულწილად ადეკვატური რეალობის სხვა, ალტერნატიული წყაროდან მიღებული ანალიზისა.

### პერსპექტიული დარგები

პრაქტიკულად გამონაკლისის გარეშე აღნიშნული ნიშა სრულად აითვისა ორმა დარგმა – ტურიმმა და სოფლის მეურნეობამ. პრიორიტეტი ამ დარგებს შორის თანაბრად გადანაწილდა.

სოფლის მეურნეობაში აქცენტი ძირითადად მეცხოველეობაზე გაკეთდა.

სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით გამოიყო რამდენიმე სტრატეგიული ამოცანა:

- მცირე მექანიზაციის დანერგვა;
- მაღალპროდუქტიული ჯიშების შემოტანა და გავრცელება;
- გასაღების ბაზრების ძიება, რომელსაც წარმატებულად შეუძლია ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გატარება.

ტურიზმი პოპულარულ სტრატეგიად ესახება ბიზნესმენების დიდ ნაწილს. ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მოწესრიგდეს და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდეს ინფრასტრუქტურა. ერთ-ერთი პრიორიტეტულია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართვა, რომელიც, ამ მომენტისათვის, საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება.

გამოითქვა მოსაზრება, რომ მთავრობის მხრიდან ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ხსენებული დარ-

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

# მეწარმეების თვალით დანახული პრობლემები

*დასაწყისი გვ.7*

გების სწორ და მიზანმიმართულ განვითარებას.

რესპონდენტებმა ასევე გაამახვილეს ყურადღება კვების მრეწველობის განვითარების პერსპექტივებზე. ამ მიმართულებით მცირე ზომის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა იქნა არსებით საჭიროებად გამოყოფილი.

**არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკური დარგები**

არასახარბიელო მდგომარეობაში ზოგადად ქვეყნის ეკონომიკა იმყოფება. შესაბამისად, ეკონომიკის ყველა დარგი დგას მნიშვნელოვანი სიძნელეების წინაშე და უწევს პასუხის გაცემა სხვადასხვა სირთულის გამოწვევებზე. თუმცა სირთულეების აქტუალობა მაინც არის განსხვავებული ცალკეული დარგების მიხედვით იმ როლიდან გამომდინარე, რომელიც აქვს ამა თუ იმ დარგს ზოგადად სახელმწიფოებრივი ეკონომიკური აქცენტებიდან და მოსახლეობის სოციალიზაციის ხარისხისა და შინაარსიდან გამომდინარე.

ინტერესთა მოძრაობა კვლევის მანძილზე, მიუხედავად ტურიზმის მაღალპრიორიტეტულობის აღიარებისა, სოფლის მეურნეობის ფოკუსზე განთავსდა, რომელიც ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ დარგად დასახელდა. მისი განვითარების შეფერხების ერთ-ერთ მაპროვოცირებელ გარემოებად კი ტექნიკის დეფიციტი გამოიკვეთა.

მინიგადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის მეურნეობაში მრეწველობის აღორძინებისაკენ გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა - მიიჩნევს ბიზნესმენთა ერთი ნაწილი; რძისა და ხილის გადამუშავება კი ამ შეხედულების დამცველთა შორის წამყვანი პრიორიტეტია.

ხორცის მიმღები პუნქტების არსებობა მნიშვნელოვნად გაზრდის სტიმულებს მეცხოველეობის გაფართოებისაკენ. რეგიონში წარმოებული ხორცის მეტი წილი აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებზე მოდის. ცენტრალურ ბაზრებთან ტერიტორიული სიშორისა და რთული რელიეფური მდებარეობის გამო ტრანსპორტირება ხარჯებს ბევრად ზრდის და შესაბამისად, აქვეითებს საწარმოო სტიმულებსაც. სწორედ, ხარჯების ზრდის ამ წნეხის აუცილებლობა განაპირობებს მოთხოვნას ხორცის მწარმოებელ ფერმერულ და გლეხურ მეურნეობებსა და ბაზარს შორის შუალედური რგოლის ჩაბმაზე. მით უფრო, რომ ბაზარზე მსგავსი ეკონომიკური აქტივობები სხვადასხვა პერიოდულობით, თუმცა არასტაბილურად და ორგანიზაციის დაბალი ხარისხით მაინც ჩნდება.

როგორც კვლევამ აჩვენა მეფუტკრეობის განვითარება საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ეფექტის მომცემი იქნებოდა, თუმცა დარგის დაფინანსების მიმართულებით არსებითი პრობლემები დგას. სათანადო სახსრების მოზიდვა საბანკო სექტორის მიერ სოფლის მეურნეობის დაფინანსების მიმართულებით დიდი სიფრთხილის გამო ძნელდება.

**დარგები, სადაც გადასვლა ბიზნესს მიმზიდველად მიაჩნია**

მაღალი ეკონომიკური მიმზიდველობის მქონე დარგებად განსხვავებული სფეროები არ დასახელებულა. თუმცა, აზრი გამყარდა ცალკეულ მიმართულებებზე დარგებს შიგნით.

რესპონდენტთათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება საინტერესო და იმედის მომცემი ბიზნესპერსპექტივა აღმოჩნდა. სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა ჩვენს რესპონდენტებს არამარტო ეკონომიკურ, არამედ სასარგებლო სოციალურ აქტივობად ესახებათ.

დასასვენებელი სახლების, კოტეჯების მშენებლობა სათანადოდ გამართული ინფრასტრუქტურით ტურისტული პოტენციალის მზარდი ტემპით ათვისებისაკენ გამავალი უალტერნატივო გზაა. გარდა ამისა, რესპონდენტებს საექსკურსიო ტურ-მარშრუტების შესწავლისა და დაგეგმარების სურვილიც აღმოაჩნდათ.

ტურიზმთან მიმართებაში ინტერესის მთავარ არგუმენტად მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მახასიათებლები და ლანდშაფტური თავისებურებანი გამოიკვეთა. თუმცა, ამ ტერიტორიებზე სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობა მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ტურისტული პოტენციალის ასათვისებლად. პირველი რიგის შემაფერხებელ ინფრასტრუქტურული შინაარსის პრობლემად საგზაო ქსელის არასასურველი მდგომარეობა იქნა მიჩნეული, მაგრამ იქვე ხაზი გაესვა მისი მოწესრიგებისათვის მიმდინარე უწყვეტ სამუშაოებს.

**გაუმართავი ინფრასტრუქტურა**

გაუმართავი ინფრასტრუქტურა რომ ეკონომიკას უმძიმეს წნეხს უქმნის და ბიზნესაქტივობებს განვითარების საშუალებას არ აძლევს, მარტო საქართველოს მაგალითზე დანახული სინამდვილე არაა. სხვა ქვეყნების გამოცდილებასაც რომ არ მივადევნოთ თვალი, ელემენტარულად, სალი თეორიული განსჯაც სავსებით ამომწურავად იძლევა მოწესრიგებული ეკონომიკური არტერიების უდიდეს მნიშვნელობაზე პასუხს.

ინფრასტრუქტურის განვითარება, უკვე რამდენიმე წელია, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის წარმოების ერთ-ერთ არსებით ვექტორად იქცა, თუმცა საკმარისი არაა ცდა ამ მიმართულებით, რაც აჩნია კიდეც ეკონომიკას, ასევე იგრძნობა ბიზნესინიციატივების რეალიზებისაკენ დაძრული პროცესის სიფრთხილეც.

რესპონდენტებმა ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფ ინფრასტრუქტურულ ობიექტებად მიიჩნიეს გზები, სატრანსპორტო ქსელი და წყლისა და კანალიზაციის სისტემები. ამის პარალელურად აღნიშნული ინფრასტრუქტურა ბიზნესისათვის ყველაზე მნიშვნელოვან მატარებლად შეფასდა.

ქობულეთში კავშირგაბმულობის, ინტერნეტისა და ელექტროენერგიით მომარაგების დონე დამაკმაყოფილებლად შეაფასეს. თუმცა ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველა აღნიშნული სერვისი ძვირია. აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში კვლავაც აქტუალურია პრობლემა ინტერნეტის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

**ყველაზე დაცემული ეკონომიკური დარგები მუნიციპალიტეტის სინამდვილეში**

კვლევის შედეგები განსაკუთრებულად დაცემულ ეკონომიკურ დარგებთან მიმართებაში არსებითად ცალსახა აღმოჩნდა და აირეკლა პერსპექტიული დარგების ტენდენცია. საუბარია იმაზე, რომ რესპონდენტთა მხრიდან შესამჩნევი გახდა მხოლოდ იმ დარგების წინაშე მდგომი პრობლემები, რომლებსაც უკვე დღევანდელი გადასახედიდან აქვთ განვითარების კარგი პერსპექტივა.

ერთ-ერთი წამყვანი აზრი ამ კითხვაზე დანგრეული საწარმოო ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეგენერაციას ეხებოდა. საწარმოების და ფაბრიკა-ქარხნების მოქმედების ათწლეულოვანი შეჩერება და არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის რღვევა სათანადოდ აისახა რეგიონის ეკონომიკურ პერსპექტივაზე უკვე დღეს დამდგარი რეალობის სახით.

ბიზნესსექტორის წარმომადგენლებმა განსაკუთრებულად გაუსვეს ხაზი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობას. ამ აზრით ბიზნესის მოთხოვნა მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგებს დადებითად გამოეხმაურა.


ნონა ხუჯაძე

სოფლის მეურნეობაში შესაბამისი ტექნოლოგიების უქონლობა და სასუქების სიძვირე ამ დარგს მძიმე პირობებში აყენებს და მის კონკურენტუნარიანობას მნიშვნელოვნად აქვეითებს.

ფინანსური აქტივების მისაწვდომობა და ფასი კი ეკონომიკური შინაარსის „აქილევსის ქუსლია“, თანაც, საბანკო სექტორის სოფლის მეურნეობით დაინტერესება დაბალია, მიდგომა კი – სპეციფიკური.

**ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემები**

ბიზნესმენებმა მთავარ პრობლემებად დაასახელეს: კანონმდებლობის ხშირი ცვლილება და შეღავათების, ანდა რაიმე პოლიტიკის არარსებობა, რომლიც ხელს შეუწყობდა მცირე ბიზნესს. გამოკითხულთა უმრავლესობის (63 პროცენტი) აზრით, ბიზნეს-გარემო საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა.

გამოკითხულ რესპოდენტთა 73 პროცენტმა აღნიშნა, რომ ვერ ახერხებს საკუთარი ბიზნესის გაფართოებას ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობის არქონის გამო. ამ შემთხვევაში იგულისხმება, როგორც საფინანსო ინსტიტუტები და ინვესტორები, ასევე საკუთარი სახსრების არარსებობა. როგორც წესი, კრიზისამდე, მცირე საწარმოები განვითარებას საკუთარი რეინვესტიციის ხარჯზე ახერხებდნენ, რაც დღეს უკვე პრობლემატური გახდა. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები ძალინ მაღალია. ამასთან, ფინანსური სექტორი უპირატესობას, უმეტეს შემთხვევაში, მსხვილ ბიზნესს ანიჭებს და დამწყებ მცირე კომპანიებს თითქმის არ აფინანსებს. შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებსაც, თავის მხრივ, საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთი აქვთ.

მცირე და საშუალო ბიზნესისათვის აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა გაყიდვებიც. მათ, როგორც წესი, არ მიუწვდებათ ხელი სადისტრიბუციო სისტემებზე, არ ფლობენ შესაბამის მარკეტინგულ და გაყიდვებთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

რესპონდენტთა 34 პროცენტისათვის პრობლემატური საკითხია სასურველი ადამიანური რესურსების მოძიება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოში არსებული ბიზნესგარემოს ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემაზე – ნაკლებად განვითარებულ შრომის ბაზარზე. არაერთმა კვლევამ გამოავლიანა, რომ კადრების პრობლემა ძალიან აქტუალურია მსხვილი კომპანიებისთვისაც. მიუხედავად უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლისა, მცირე და საშუალო სექტორშიც არის მოთხოვნა სხვადასხვა პროფესიისა და ხელობის კვალიფიციურ პერსონალზე.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ინვესტორი ხელმიუწვდომელი ცნებაა. რესპონდენტების 94 პროცენტს არასოდეს ჰქონია რაიმე სახის შეხება პოტენციურ ინვესტორთანაც კი. ამასთან, მათი უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას ისეთი ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაეხმარონ ინვესტორის მოძიებაში და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაში.

მხოლოდ მსხვილი კომპანიების პრეროგატივაა ექსპორტიც. მცირე ზომის საწარმოებს არ აქვთ იმის რესურსი, რომ საკუთარი ძალებით მოიძიონ ინფორმაცია გარე ბაზრებისა და პოტენციური მყიდველების შესახებ. რაც შეეხება შუამავალ ორგანიზაციებს, ასეთების შესახებ ინფორმაციას რესპონდენტთა 91,6% არ ფლობს. გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 6,8% იცნობს საექსპორტო ბაზრებს და კომპანიების მხოლოდ 1,6 პროცენტი ფლობს ინფორმაციას ექსპორტის ხელშემწყობი ინიციატივების შესახებ.

**კადრების გადამზადების ყველაზე საჭირო მიმართულებები**

კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტი აჭარაში, ისევე როგორც მთლიანად ქვეყანაში და განსაკუთრებით მთიან ნაწილში, მწვავედ დგას. ბიზნესმენებმა ისაუბრეს იმ სირთულეებზე, რომელთა წინაშეც დგას მათი ბიზნესი და დაკარგულ შესაძლებლობებზე, რომელთა განხორციელებაც ადეკვატური ფინანსური რესურსის არქონასთან ერთად მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე სამუშაო ძალის ნაკლებობაა. უკეთეს შემთხვევაში ამ ფაქტორის გავლენა ასახვას შექმნილი ღირებულების ხარისხზე პოულობს, თუმცა რიგ სიტუაციებში ეკონომიკურ სტიმულებს ახშობს კიდეც.

რესპონდენტების აზრით, მუნიციპალიტეტებში კადრების გადამზადება აუცილებლად ესაჭიროებათ შემდეგი პროფესიის წარმომადგენლებს:

ექიმებს;

ინჟინრებს;

მშენებლებს;

აგროსპეციალისტებს;

გიდებს;

ტურიზმის მომსახურე სხვა პროფესიებს;

მართვის სპეციალისტებს;

კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტებს;

უცხო ენის სპეციალისტებს.

**მოლოდინები და პერსპექტივა**

რესპონდენტებმა სამომავლო პერსპექტივის საგნად აუთვისებელი რესურსების გამოყენებაზე მიანიშნეს.

ამ მხრივ აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა არ ყოფილა, თუმცა, ვფიქრობთ, საინტერესო იყო ის რამდენიმე ერთეული მიმართულება, რომელზეც ბიზნესმენებმა ყურადღება გაამახვილეს.

ყველაზე ხშირად აუთვისებელი ჰიდრორესურსები და ტყის რესურსები დასახელდა.

ტყის კორომები განსაკუთრებული ყურადღების საგანი ჯანმრთელობის რეკრეაციისთვის აუცილებლობის ნიშნით გახდა.

სამკურნალო აბანოების სიმრავლით გამოირჩევა კვლევაში ჩართული თითქმის ყველა მუნიციპალიტეტი. ამდენად, საგულისხმო იყო აქცენტი ამ მიმართულებითაც. მათი ერთი ნაწილი უკვე ფლობს ლოკალურ ცნობადობას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი არსებული რესურსის ზომასთან შეფარდებით. მოცემულ მომენტში კი დგას აუცილებლობა უკვე დამკვიდრებული მცირე ნიშების გაფართოებისათვის სავალდებულო ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად და მისი წარმადობის ასამაღლებლად საჭირო ბიზნესაქტივობებისათვის. ინვესტიციების მოზიდვა ამ ნიშაში კი სახელმწიფოს წამახალისებელი პოლიტიკის გარეშე ნაკლებად შესაძლებელია.

გამოიკვეთა საერთო ოპტიმისტური ემოციური ფონი. რესპონდენტებს ცალსახად პოზიტიური მოლოდინები აღმოაჩნდათ მუნიციპალიტეტის მომავალთან დაკავშირებით. რაც ძალიან საინტერესო მახასიათებელია იმ ფონზე, როცა მათ მიერ შეფასებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ნამდვილად არ იყო იმედისმომცემი.

ემოციური თვალსაზრისით ეს ოპტიმიზმი მისასალმებელია, თუმცა ის გარემოება, რომ არც ერთ მათგანს არ უცდია ოპტიმიზმის ლოგიკური დასაბუთება და სამომავლო შედეგების ერთგვარი პროგნოზი არ ეყრდნობოდა არგუმენტირებულ აზრობრივ წიაღსვლებს, ტოვებს საფუძველს ეჭვისათვის, რომ ეს იმედიანი დამოკიდებულება მომავლისადმი უბრალოდ თვითდარწმუნების ერთ-ერთი ხერხია. თუმცა კიდევ ერთ ეჭვს ეძლევა ლოგიკურად არსებობის უფლება: არაა გამორიცხული, რომ ეს მსუბუქი იმედიანობა ლოგიკური სარჩულის გარეშე, ირეკლავდეს საერთო საზოგადოებრივ ნიჰილისტურ განწყობას გამსხვილებული სოციომეტრული არეალების მიმართ.

***ნონა ხუჯაძე,***
***ეკონომიკის ექსპერტი***

**საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.**

**საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“**

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

**საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის “აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის” ფარგლებში**

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge